კანტორა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თავ.-აზნაურთ კარვასლა.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
... 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი
ქეფირი და კუმისი
ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—65)
ო. კორონა.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა
სთხოვს იმ პირთ, რომელთაც სურვილი გამოაცხადეს გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისა, მობრძანდნენ ქართულ თეატრში 29 ამა აგვისტოს, როდესაც მათ დაურიგდებათ როლები და ამავე დღიდან დაინიშნება რეპეტიციები.
(5—1)

საპატიო მზრუნველი გორის მაზრის საეკკლესიო-სამრევლო სკოლებისა ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა მოწაფეებისა მომავალ სამოსწავლო წლის ტირძნისის მეორე კლასიან სკოლაში დაიწყება 20 სექტემბრიდგან.
თხოვნებს მიიღებს (—1—20 სექ.)

გორის მაზრის საეკკლესიო სამრევლო სკოლების საპატიო მზრუნველი სტატსკი სოვეტნიკი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი.
ტირძნისის მეორე კლასიანი სასწავლებელი შესდგება სამი კლასიდგან და ოთხ განყოფილებიან მოსამზადებელ კლასისაგან. ამ სკოლაში კურს დამთავრებულებს ეძლევათ მოწმობა მასწავლებლობისა სასულიერო უწყების წერა-კითხვის სკოლებში.
სკოლას აქვს პანსიონი, სადაც მოწაფეები იხდიან თვიურ შესანახს 4 მანეთს.

ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

ქალების
პროგიმნაზია
ელენე ბახტაძისა
დ. ხონში
ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე წელს გახსნილ პირველ პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 28 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოიგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მან. წელიწადში.
(10—6)

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" ხიდქვეშის, ბეგიჩევის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში და სას. სემინარიის ეკონომოსს მღვდ-ელ. ჯაოშვილთან.
ტფილისის სას. სემინარიის რექტორის არხიმ. ჭერმოგენის მიერ შედგენილი და გამოცემული რუსულ ენაზედ წიგნაკი.
«Задушевный вѣнокъ отъ скорбящей Грузіи на гробъ Наслѣдника Цесаревича Георгія Александровича».
ფასი 15 კაპ. (6—4)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. ზირაკი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

** მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი ბაქოში იქნება ამ თვის 27-სათ და იქიდან წამობრძანდება ტფილისში.

** გამოსაცდელ წარმოდგენების დაწყება. ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ იგი იწვევს ახალგაზდა მოთამაშეთ ამ თვის 29-სათვის, როლების დასარიგებლად მათ შორის და რეპეტიციების დასაწყობად.

ექვი არ არის ეს გამოსაცდელი წარმოდგენები ბევრ სცენის მოყვარულს გამოიწვევს და მით რა თქმა უნდა ცოტათი მაინც ეშველება ჩვენს თეატრს.

** მასწავლებლების თავისუფალი ადგილები. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ვისაც სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის ადგილის დაჭერა სურს (ოთხი ადგილია), იმან უნდა 25 აგვისტომდე წარუდგინოს სკოლის გამგეს ა. მთავრიშვილს ქ. ქუთაისში მოწმობა, თუ სად მიუღია სწავლა და სად უმსახურნია.

თხოვნების შეტანა მოსწავლეების მისაღებად შეიძლება 26 აგვისტოდან 31-ლის. განმეორებითი ეგზამენებიც ამ დროს მოხდება. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

** საფრანგეთის მწერლის ბარონ-დე-ბაის ჩამოსვლა. ჩვენში უკვე კარგად ცნობილი საფრანგეთის მწერალი და მეცნიერი ბარონ დე-ბაი ამ თვის დამლევს ჩამოვა, თურმე, ტფილისში.

ბარონ დე-ბაი, როგორც ჩვენი გაზეთიდან უწყიან მკითხველებმა ამ ორის წლის წინად იყო საქართველოში და კიდეც გამოსცა თავის მოგზაურობის ამბავი ცალკე წიგნად პარიზში, ამ წიგნზე ჩვენ თავის დროზე ვრცელი შენიშვნა გვქონდა მოყვანილი.

** მისაღები გამოცდა სათავადაზნაურო სასწავლებელში დაიწყება ამ თვის 20-ს. გამოცდა შეეძლება ყველას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * ოზურგეთის საქალაქო სკოლის გადაკეთება, რომელზედაც ეს ორი წელიწადია, რაც ადგილობრივი მკვიდრნი ეხვეწებოდნენ უმაღლეს მთავრობას, ამ უკანასკნელს არ შეუწყნარებია იმ მოსაზრებით, რომ სამეურნეო სკოლაში ძრიელ ნაკლებად სწავლობენ ბავშვებით და თუ სამოქალაქო სამეურნეოდ გადაკეთდა, ვაი თუ ამ სკოლაში ძრიელ შემცირდეს მოწაფეთა რიცხვიო.

* * საშინელი სიკვდილი. გაზ. „კავკაზს“ ს. ანანაურიდან (ხევი) ატყობინებენ ერთს საზარელს ამბავს. ერთს გლეხ-კაცს მოსწყურებია და იქვე მდგომი ლიტრა აუღია და ერთბაშათ დაულევია წყალი. სურაში თურმე გველი ყოფილა და საბრალოს წყალთან ერთად გველიც გადაუყლაპავს და ცოტა ხნის შემდეგ საშინელის ტანჯვით გარდაცვლილა.

## სამკურნალო წყლები სამეგრელოში.

როგორც რაჭაში, ამ მოკლე დროს აღმოჩნდა სამეგრელოს მთაზე სამკურნალო წყლები: როგორიც არიან: მჟავე წყალი, გოგირდის წყალი, და შაბის წყალი. აქ მოდიან საზაფხულოდ სამეგრელოს თუ სამურზაყანოს ყოველივე კუთხიდან სხვა და სხვა სენით შეპყრობილი ადამიანები მოსასალონიერებლად. ჰავას მშვენიერი ზეგავლენა აქვს, რადგანაც იგი არც იმდენი მძიმეა, რომ სუსტი-ულონო ავადმყოფმა ვერ აიტანოს, არც იმდენი მსუბუქია, რომ კაცის აშლილი ავებულება არ გაასწოროს, გამოაგოს. რისთვისაც მიუხედავად თითქმის მიუვალი ვერტიკალურ—პარტიკალურად ზეით აწვდენილ ხაზის მსგავსი გზისა, საშიში ოღრო-ჩოღრო აღმა-დაღმა ციცაბოსი და ნაზი აგებულების ადამიანის თვალისთვის საცდო მიუწვდენელ ქედთა, დიდ-ძალი ქალს და კაცს იზიდავს ეს სამკურნალო წყლები. ყოველ წლობით გამოჭიმულია 40—50 კარავამდის.

ეს წყლები იმყოფებიან ტეხურის თავზე ერთს „ჩეგვალის“ გამოქვაბულ ადგილში. მჟავე წყალს უძევს აღმოსავლეთით გორაკი ეგრედ წოდებული „ჩიქონი“, დასავლეთით უძევს გ. „მაქეოციმუ“, სამხრეთით ჩამონი და ჩრდილოეთით აკრავს „ხუტას ნახვამუ: სამხრეთ-დასავლეთით მჟავე წყლის ორ ხერთა შუა გამოდის შაბის წყალი და გოგირდის წყალი: პირველი ზემოთ და ეცემა ორი საჟენის სიშორეზედ შხაპა-შხუპით, უკანასკნელი კი ნაკლებ გამოდის და ხის სვირიდან ეცემა დედამიწას მსხვილი წვიმის ოდენა. ამ ორი წყლით ბანაობენ და მოუდის პირველი ჰვალს მეორე კი ქარებს (რევმატიზმას). მჟავე წყალს სვამენ და კუჭის პანაკეიათ მიაჩნიათ. მართალი უნდა მოგახსენო, ძლიერ მარგებელიც არის, მაგალითებიც ყოფილა, რომ მაგ წყლების მეოხებით ბევრი სულ ბევრი სხვა და სხვა მანკიანი ავადმყოფები მორჩენილან. რომელი ჯურის ავადმყოფები გნებავთ, რომ აქ არ შეხვდეთ; ტყლაპიანი, კუზიანი, სიფილისიანი, რევმატიზმიანი, ხუნდიანი; ჯრკვლიანი, და მრავალი უსახელო თუ სახელიანი შეკრული-შებოჭილ უძლურნი. ყველა რაღაც სიმსუბუქე-შვებას ტყობულობს და მადრიელი თავისი ბედისა ბრუნდება შინ, რითაც მტკიცედ საბუთდება მარგებელი თვისება, ჯერ კიდევ მოუწყობელი, ახლად გახსნილი აბანოისა.

ეს მთა, სადაც აღმოჩნდა მინერალური წყლები, შეადგენს თავადი დავით დადიანის საკუთრებას. იგი გაცემულია საიჯაროთ გარდა აბანოს მიდამოსი დადიანთა სამფლობელო გორები შეიცავს რამდენიმე ათას დესეტინას. აქ ხარობს სხვა და სხვა ჯიშის ხეები, განსაკუთრებით ნაძვი და ფიჭვის სამშობლოა. მხედველს თვალი უჭრელდება, ბუნება ულიმდება მშვენიერი სანახაობით, გეგონება აქ ვინმე აგრონომი მდგარა და თავისი დანიშნულება რიგიანად წაუყვანია; გუთანი ღრმად გაუვლია, მოუფარცხავს, უშოვნია ნერგები, კვალი გაუკეთებია და რიგრიგად დაურგავს სამი არშინის სიშორ-სიახლოვეზედ, მერე კი ხელ მეორედ გადაურგავს და ერთი მეორესგან სამ საჟენზედ მოუცილებია, შემდეგ კი მოურწყავ გაუხელავს და ყოველივე ღონე უღონებია მათ გამრავლებაზედ, ინიციატორი კი მომკვდარა და ხელოვნურად დარგულ დარაზმული ნაძვ-ფიჭვთა თავისი არ მოუშლიათ უკაცრიელობაც და დღეს ცამდის მიუწვდენიათ თავისი კოპწია ტოტები და გამვლელთა მომხიბლელ ნივაიად ქცეულა (უჰ რამდენი „და“ არის?!). როგორი უგულო კაცი იქნება, რომ არ წამოიძახოს: უჰ, რა სამოთხის მშვენებაა! აქაც კი უფალს თვისი უხვი კალთიდან დაუბერტყავს მოწყალება. გამახსენდა ბრძნული თქმულება „შოთასი“ „ვარდთა და ნეხვთა, ვინადგან მზე სწორედ მოეფინების“.. სწორედ აქაა ასრულებული.

სანამდის სამკურნალო წყლები არ აღმოჩნდებოდა, ეს მთა იყო მიუვალი და უგზო, მარტო თუ მეცხვარეები ერეკებოდნენ თავიანთ წვრილ-ფეხ საქონელს. როცა ხმა გავარდა, რომ აქ იმყოფება მჟავე წყალიო, მაშინათვე დაესიენ, როგორც ბუზები ეხვევა ხოლმე თაფლსა და გზა გაიყვანეს, მაგრამ სალაპარაკოც არ არის, როგორი გზა გაივლიდა, მას მკითხველი თვითონ მიხვდება. ამ წყალმა სხვათა შორის დადიანთა ყურადღებაც მიიქცია და ბატონი დავითი დადიანის წყალობით უარესი გზები იქნა გამოპრილ-შეკეთებული. რასაკვირველი[illegible] აქ ის ავადმყოფები დადიან უმეტესად, რომელთაც სახსარი არა აქვთ სხვა განათლებულ [illegible] ანოებში გაემგზავრნონ. მაშ [illegible] ყოფილა ერთად-ერთი სადსარი ღარიბთა ავადმყოფთა? დიაღაც იყო, მარა ეხლა არ არის. არის კიდევაც არიდონ თავი ამ საშიში კლდე-გორაკ სამ ვერშოკიან ისიც ზეით ასკუპულ გზას. მკითხავს მიზეზიო? დიდის კმაყოფილებით პასუხი: აქამდის აქ სანოვაგე; რძე, ყველეულობა თუ ხორცეულობა ჩალის ფასად იშოვებოდა და არივითარი ღალა არ იყო დაარსებული, წელს კი სანოვაგეს სიძვირესთან ეგრედ წოდებული „ცხენის ბაჟიც“ დაარსდა თითოეულზე მანათი და იქედია, დამარსებლისვე წყალობითა ეგრედ დაწესებულებამ იზარდოს და ზრდასაც ასცილდეს. ნუ თუ ეს ცხენის ღალაა? ძვირ-ფასო მკითხველო, ნუ ლონდებით, რომ ისიც არ გვესმოდეს., რომ ცხენის და სხვა რიგიანი დაწესებულება ბრიზსა ჰგვრიდეს, სრულებით არა სახელი ცხენი ჰქვია სახმარი კი აბანოსი, რადგანაც ცხენის ბაჟი მთელი ზაფხულობითაა ერთი მანეთი, ხოლო მეაბანოე პირისათვის შვიდი თუ ათი დღე ისევე იგივეა. მახლოს, ეს უსამართლოება არ არის? გვესმის ბატონო და კიდევაც გვწამს, გააკეთონ რიგიანად აბანო როგორც აბანოს შეეფერება დეე, გვახდევინონ ღალა თუ-გინდ ერთი-ორად. ჯერ ბატონო, ჩვენც ვსარგებლობთ და პირუტყვნიც ერთად და ეს რა საკადრისია ღალა?!. ვერ გაგვიგიათ სწორედ, ესრეთი მართლ-უმართლ-მსაჯულება.

ლუკა ხუნწარია

# სიტყვა,

წარმოთქმული ანჩისხატის ტაძარში მღ. პოლიევქტო კარბელაშვილის მიერ.

უხრწნელსა ხატსა შენსა თაყვა-
ნის ვსცემთ ქრისტე!

განვლო თითქმის ათასმა წელმა, რაც დღევანდელი დღესასწაული დააწესა ვიზანტიის იმპერატორმა და მას აქეთ საქრისტიანო ადი-
დებს ხელით უქმნელსა ხატსა,რო
მელიც თვით იესო ქრისტემ წარ-
მოუგზავნა ედესიის მთავარს ავგა-
როზსა იესო ქრისტეს მიერ გან-
ტარებული დრო იუდიანთა შო-
რის იყო დრო სასწაულებისა და
სწავლა-მოძღვრებისა. უბედურ კაც-
თადმი მუდამ სიბრალულით სავსე
იესო ქრისტე სასწაულებრივ ჰკ
რნავს თითქმის სამას ვერს მანძი
ზე მყოფ ავგაროზს, რომ მით მ
ინადიროს წარმართნი თავის მო
ღვრების საქადაგებლად. სნეულ
ავგაროზს დიდხანს სწამლობდნენ
საუკეთესო მკურნალნი, მაგრამ
ვერა გააწყეს-რა. თვით ავგაროზმა
დაჰკარგა იმედი და მკურნალები
განიშორა; მერე წერილით მოჰმარ-
თა იესო ქრისტეს და სთხოვდა
ედესიაში მოსვლასა და უკურნე-
ბელი სენისაგან განკურნებასა. იე-
სო ქრისტემ წყლით დაბანილი პი
რი სახელხოდ შეიწმინდა ტილო-
თი და მისა სახე გამოისახა ტი-
ლოზე. თავის მოსვლის მაგიერ
იესო ქრისტემ გამოუგზავნა ავგა
როზს ტილოს ხატი, თუ გრწამ
ჩემი ვინაობა—განიკურნებიო. ა
გაროზმა თვალ-ცრემლით და მუხლ
მოდრეკით თაყვანი სცა იეს
ქრისტეს ხატსა და მაშინვე გან
კურნა. მერე ფიცარზე გააკრა წ
ხატი და ქალაქის კარისბჭის თავ-
ზე თახჩაში დაასვენა ყველა მიმს-
ვლელ-წამსვლელთა სალოცავად.
გაკიდა რამდენიმე ასი წელიწადი
და ხელით უქმნ. ხატის წყალო
ბით ბევრჯელ გადარჩა ედესი
მტერთაგან აოხრებასა. ბოლო
ერთი შთამომავალთაგანი ავგარო
ზისა ურწმუნო შეიქმნა და ედ
სიის მღვდელ-მთავარი იძულებ
ლი იყო ხატი დაეკრძალა თახ
ში, წინ დიდი კეცი-აგური აუ
რა და სანთელი დაუნთო. გავ
კიდევ ორასზე მეტი წელი, სპ
სები შემოადგნენ ედესიას, ის
იყო უნდა დაეპყროთ კიდეც,რო
მაშინდელმა ძლვდელ მთავარმა სი-
ზმრათ ნახა ხატი, მეორე დღეს
ლიტანით გამოაქციეს კედელი და
იპოვეს ხატი ისე ანთებული სანთ-
ლით. სპარსელები უცებ აიყარნენ
და გაეშურნენ თავის ქვეყნისაკენ.
ამ სასწაულმა ისევ განამტკიცა
ქრისტიანობა სამთავროში. ახლა
არაბებმა დაიპყრეს ედესია, რო-
მელთა დროსაც საბერძნეთის იმ-
პერატორმა კონსტანტინე პორფი-
როსანმა გადაასვენა დიდის ლიტ
ნიით კონსტანტინეპოლში, საი
განაც ხატთა მბრძოლთა გამოგად
მოსვენებულ იქმნა საქართველო
ში, ჭოროხის ხეობაში, და დაას
ვენეს ანჩის სამღვდელმთავრო ტა-
ძარში. ოთხასი წელიწადი გავიდ
და საბერძნეთი დაიპყრეს ოსმა-
ლებმა და მათთან ჭოროხის ხეო
ბაც. ამისათვის ხელით უქმნ. ხატ
წამოასვენეს და ახალციხის მ

ლოპლად საფარის ტაძარში დაკრძალეს.

რაკი ოსმალებმა მოატანეს ახალციხეს, ახლა აქედან ჩამოასვენეს ჯერ გორში, მერე სიღ. ქალაში და დაასვენეს ამილახვრის იოთამის კარის საყდარში. მაშინ იოთამის ძემ გივმა ამილახვარმა ხატი იართვა თავის ძმას კათალიკოზ ომენტის, რომელმაც დაასვენა ქ, სადაც კეთილმსახურნო ქრის. ი დღეს შეკრებილხართ ადიდოთ ა ილოცოთ ხატი მისი, ვის ხატადაც ჩვენ ყველანი შექმნილ-დაბადებულნი ვართ.

დიდია გრძნობა სარწმუნოებრივი, დიდია მამა პაპათა სალოცავია რომელიც ამოდენა მლოცავთა კრებას იზიდავს ყოველ წლივ. მაგრამ როდი კმარა მარტო ლოცვა და დღევანდელებრი დღესასწაული ამისთანა ბრწყინვალე სალოცავისა, რომლისა დღესასწაულო ა მამა-პაპას ანდერძად გადმოუცია ჩვენთვის.

საქმე იმაშია თუ ჩვენს ცხოვრებაში რამდენად პატივისცემით ვატარებთ ღვთის სახელსა! თუმცა ყველამ კარგათ ვიცით, რომ სახე ღვთისა უნდა ვატაროთ ჩვენს ცხოვრებაში წმინდად უცოდველად, შეუმწიკვლელად, მაგრამ ჩვენ. ყოველ დღე თუ არა, ძალიან ხშირად შეურაცხებას ვაყენებთ ჩვენს უმაღლეს სამკაულსა—ღვთის ხატებსა, ხშირად ვსცოდავთ და ვარღვევთ ღვთის მცნებასა ჩვენსავე საზარალოდ. მერე სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ასეთი სამწუხარო მოვლენისა? საიდან უნდა მოუძებნოთ უებარი წამალი ეგრეთ ჩვენს ზნეობრივს დაცემასა, ჩვენს ზნეობრივს დაბრმავებასა.

ცხადია, რომ ეგ ჩვენი მიდრეკილება ცოდვისაკენ ჩვენი თანაშეზრდილია პატარაობიდგან, რაც პატარაობისას ჩვენ გაგვიგონია, რაც თვალით დაგვინახია, იგი შეგვითვისებია და შეგვსისხლხორცებია.

ძველად ჩვენს ქვეყანაში ყოველი დედა და მამა თვით ღრმად მორწმუნე ქრისტიანენი იყვნენ, წმ სახარების და სხვა. საღმრთო წერილების ცოდნის გარეშე ქართველს ქალს სხვა უკეთესი ცოდნა აღარა ეგულვებოდა რა, უცოდნელობა საღმრთო წერილისა ურჯულოებად მიაჩნდა. ამიტომ ყოველი ქალის მზითევის უძვირფასესი სამკაული იყო დაუჯდომელი ღვთის მშობლისა, ლოცვანი და სხ. წმინდათა ცხოვრება და საგალობელი და ღირსეულადაც ხმარობდნენ მაგ სამკაულსა: დილით ლოცვა, სადილათ ლოცვა, ვახშმათ ლოცვა, დაძინებისას ლოცვა, ყოველ საოჯახო საქმის დაწყებისას ლოცვა; მერე დაუზარებლად მუდამ საყდარში წირვა ლოცვის მოსმენა. ყოველ ამის მხედველს ძველად ყველა ქართველს პატარაობიდანვე ესისხლხორცებოდა და ეთვისებოდა საფლავამდე ღმრთის სიყვარული და შიში, წმ. ზნეობრივი ცხოვრება და რიდი ცოდვისა ბოროტის საქმისა. ცხადია, რომ სეთ ლკიან სათნოებაში აღზრდილი ქართველი ღირსეულად ატარებდა წმ. ხატებსა და ღმერთიც ჯეროვნად აჯილდოვებდა მათს მორწმუნეობასა და კეთილად ცხოვრებასა. ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველმა ერმა შეინარჩუნა ენა, სარწმუნოება და სამშობლო მიწა-წყალი. ამოდენა ხნის განმავლობაში მრავალ მძვინვარე მტერს სახელოვნად გაუმკლავდა ერთი მუჭა ერი, მოიხვეჭა სახელი ირგვლივ მცხოვრებ უცხო ხალხთა შორის, შეჰქმნა მდიდარი ენა, სასულიერო საერო მწერლობა, ააშენა მრავლად დიდ მშვენიერი ტაძრები, ციხე-დარბაზები, რუსხმულები და სხ. მხნეობა, მოთმინება და ხასიათის სიმტკიცე ძველის ქართველის საზღაპროდ გარდაიქმნა.

დღეს? დღეს კი ჩვენ დედათა გზა დაბნეულობისა გამო, შვილთა უკუღმართის აღზრდისა გამო ჩვენმა ზნეობრივმა ცხოვრებამ ფერი იცვალა, განვარისხეთ ღმერთი და ცოდვით შევბღალეთ უდიდესი ჩვენი სამკაული-ხატება ღმრთისა! დღეს დედა თავის შვილს სიტყვით და საქმით აღარ უღვივებს გულში თავის შვილებსა სარწმუნოებასა, ღმრთის შიშსა და სიყვარულსა! ამას ვილა ჩივის: უდიდესი თავისი მოვალეობა ძიძას ჩააბარა, ძუძუსაც აღარ აწოვებს თავის შვილებსა. აკი გადაგვარდა ჩვენი ახალთაობაცა: თავის მიწა-წყლის სიყვარული, პატივისცემა მშობლისა და მოხუცთა, მამაპაპის სიწმიდეთა დაცვა, ყველა ამას მოშორებულა ჩვენი ახალგაზდობა. მერე? მერე ის, რომ საიდანაც არა მგონია, ისმის—ამა და ამ ყმაწვილმა მოხუც მშობლებს სიცოცხლე ჩაამწარა და შიმშილით სული ამოართვაო; ამ ქალმა ქმარს თავი დაანებაო, ამ ქმარმა ცოლსაო. საითაც გაიხედავთ მოხუცი მშობლები სიღარიბეში სცხოვრობენ და მათი შვილნი კმაყოფილნი ატარებენ თავის სიცოცხლესა.

დედამ აჰყარა სიყვარული და პატივი თავის ოჯახის კერასა, თავის ქმარშვილის სამშობლოსა და ჩალადაც არ უღირს: უწინ რომ ყოველი დედა თავის ოჯახში ჰპოვებდა მხიარულებასა, სიამოვნებასა და ქვეყნიერ სიტკბოებასა, დღეს დედა ოჯახისა თავის ქმარშვილსა და სახლ გარეშე ჰკოვებს სიამოვნებასა და ბედნიერებასა. საშიშია ძმანო, და დანო ქრისტიანენო. ესრეთი უარ-ყოფა მამა-პაპათა ნაანდერძევისა და მეტადრე, იმიტომ, რომ ახალი რამ უკეთესი წარმატება და წინ-მსვლელობა ვერა მოვახერხეთრა. უკეთესად ვერ შევსცვალეთ ჩვენი ცხოვრბა და მამა-პაპათა ნაანდერძევს სარწმუნოებას, და ცხოვრებას კი ზურგი შევაქციეთ. სწორედ ჩვენისთანა გაურკვევლად მცხოვრებ იუდიანთ შერისხა იესო-ქრისტემ:

„მიგეღოს თქვენგან სამკვიდრებელი თქვენი და მიეცეს ნათესავსა უცხოს“, რომელი ჰყოფდეს ნაყოფსა კეთილსა. მიმოიხედეთ ირგვლივ, ძმანო და დანო ქრისტიანენო, ყველა უცხო ერი როგორ მტკიცედ იცავს თავის მამა-პაპის სჯულსა და სარწმუნოებასა!

ვიდრე კიდევ დროა, შეუდექით თქვენ შვილთა კეთილ ზნეობრივი ცხოვრებით აღზრდასა, პატარაობითვე ჩაუნერგეთ გულში სიყვარული ღვთის გაუღვივეთ სარწმუნოებრივი გრძნობა, რომლისა კეთილსა ნაყოფსა თქვენვე მოიმკით ბოლოს.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**პარიზი.** „Ag Naf.“ SJ. Yincent de Paul.“-ის ეკკლესიის მღვდელი გუშინ გერენთან იყო და ურჩია წინააღმდეგობაზე ხელი აიღოს სღამომ მშვიდობიანად ჩაიარა. 11 საათზედ ერთი ალჟირელი მივიდა ამ პოლიციელებთან რომელნიც შაბროლის ქუჩას გარს ერტყნენ და მოინდომა გერენისათვის პაკეტის მიცემა. გერენი ამ დროს პირველ სართულის ფანჯარასთან იდგა. პოლიციელებმა შეიპყრეს ალჟირელი. ამის გამო გერენი გარედ გამოვიდა და რევოლვერი ორჯერ ესროლა პოლიციელებს და ორჯერვე ააცდინა. რადგანაც ტყვია ვერსად იპოვნეს ფიქრობდნენ, რომ რევოლვერი ტყვით არ იყო გატენილი. დღეს, დილას 6 საათზედ, გერენმა შავი დროშა გამოჰკიდა.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო.“ არ იციან, რა მიზეზით გამოჰკიდა გერენმა შავი დროშა, აბატ დეზერს ნება დაერთო შესულიყო დამწყვდეულებთან, მაგრამ აბატმა ნახევარი საათი ჰრეკა ზარი და პასუხი არავინ გასცა. აბატმა კარებს ყური მიადო, მაგრამ არავითარ ხმაურობა არ მოესმა შიგნიდგან. ამისდა მიუხედავად, არა ჰფიქრობენ რომ დამწყვდეულებს თავი მოეკლათ.

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო“. კრება დაიწყო 6 საათსა და 30 წუთზედ. ბერტილიონმა განაგრძო თავის ჩვენება, დრეიფუსის დამნაშავობის საბუთად ბერტილიონმა ისიც მოიყვანა, რომ დრეიფუსის ხელნაწერებში შეხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც განგებ არის გადმოხატულიო. დემანჟმა გადასცა დრეიფუსს ერთად-ერთი ოტისკი. დრეიფუსმა მხოლოდ მხარები აიწია. ბერტილიონმა ფიცი დაამთავრა და სთქვა, რომ ბორდერო დრეიფუსის საქმეაო. დრეიფუსმა ყურადღება არც-კი მიაქცია. შემდეგ დრეიფუსს შეეკითხნენ სიტყვის „საძაგელის“ გამო, რომელთაც მას 1894 წ. საქმის დროს ბერტილიონისთვის მიუმართავს.— „ბერტილიონი ყოველთვის მეუბნებოდა,—სთქვა დრეიფუსმა,—რომ დამნაშავე ხარო; მაშინ მე „საძაგელი“ ვუწოდეო“. დრეიფუსმა დაუმატა: „ბერტიოლიონის ჩვენებას პასუხს არ ვუგებ, მაგრამ იმას-კი ყოველთვის ვიტყვი, რომ ბორდეროს ავტორი მე არა ვარო“, (აღელვებაა) შემდეგ დრეიფუსმა სთქვა, საიდუმლო მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს იმ შენიშვნებს, რომლებსაც სამხედრო სამინისტროს აფიცრები ადგენდნენო. არტილერიის აფიცერი ვალერიო, რომელიც მთავრობის კომისარმა გამოიხმო, დაემოწმა ბერტილიონის აზრს. ვალერიომ განაცხადა, საბუთის ქაღალდი განგებ ისეა შედგენილი, რომ ყალბსა ჰგვანდესო. მარტო დრეიფუსს შეეძლო ყოფილიყო ბორდეროს ავტორიო (აღელვებაა). დრეიფუსმა წინანდელი განცხადებანი გაიმეორა და, სხვათა შორისა, სთქვა, ის მოსაზრება, რომ ვითომ საბუთის ქაღალდისთვის ყალბი სახე მიმეცეს, რათა შემდეგ ასეთი ხერხით შემძლებოდა თავისს გამართლება, თავისს თავად ირღვევა, რადგანაც შემდეგ, როდესაც სამართალში მიცეს, ასეთის გასამართლებელ საშუალებისათვის არ მიმიმართავსო.

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო“. კაპიტანმა ფრეიშტეტტერმა განაცხადა, რომ, როდესაც 1894 წლის სასამართლოს წევრი ვიყავი დრეიფუსის დამნაშაობაში დამარწმუნა ექსპერტთა აზრისა და დიუ პატის ჩვენებმა და აგრეთვე საბუთის ქაღალდებმაო. მოწმემ ჩამოთვალა საიდუმლო dossier-ის საბუთის ქაღალდები ამ ქაღალდებს შეადგენდნენ ბიოგრაფიული შენიშვნანი, ის საბუთის ქაღალდი, სადაც ნათქვამია: „ეს საზიზღარი დ.“, დევინიონის წერილები და, დასასრული, უცხო ქვეყნელისა ატტაშეს დეპეშა, რომელშიაც პირდაპირ ნათქვამია, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო. (ხმაურობა და ხანგრძლივი მოძრაობაა). მორელ-

მა და მერსიემ სატყვის თქმის ნება მოითხოვეს. მორელმა განმარტა თავის წინანდელი სიტყვები; „მე მხოლოდ ერთი საბუთის ქაღალდი წავიკითხე“. მორელმა სთქვა მე არ დავამთავრე ჩემი აზრი ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ მინდოდა საიდუმლო დამერღვია, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ლაბორის იმაზე მეტი ირ ეთქმევინებინა ჩემთვის, რაც მსურდა. მინდოდა-კი შემდეგი მეთქვა: „კერძოდ მე წავიკითხე მხოლოდ ერთი საბუთის ქაღალდი, დანარჩენი მღივანს გარდავეცი და უთხარი: „მე დავიღალე მეთქი . (დარბაზში საშინელი ხმაურობა ასტყდა. მორელი ძალიან აღელვებული იყო ხელები უკანკალებდა. ფრეიშტეტტერს იმისთვის თვალი არ მოუშორებია ). მორელმა სთქვა რომ გულდასმით არ უსმენდი საბუთის ქაღალდების კითხვას, რადგან საინტერესო არ იყოო. ფრეიშტეტტერი-კი ამტკიცებდა, რომ მორელს ყველა საბუთის ქაღალდი ხელში ეჭირა და თითონ კითხულობდაო.. (საშინელი აღელვება). მორელი ფერ წასული იდგა და წინააღმდეგობას აცხადებდა. ლაბორი შეეკითხა მერსიეს 2 ნოემბრის დეპეშის შესახებ. მერსიე და ფრეიშტეტტერი შეეკამათნენ ერთმანეთს პურეეში მომხდარი ამბეის გაცემის შესახებ. ფრეიშტეტტერმა სთქვა, რომ საქმე რობეტის იარაღს შეეხებაო. მერსიე წინააღმდეგს ამბობდა. ფრეიშტეტტერი თავისას იმეორებდა და ამბობდა, რომ 2 ნოემბრის დეპეშა 1894 წლის სასამართლოს ეუწყაო. მერსიე იძახდა—არაო. ლაბორიმ ამის გამო მოითხოვა, რომ დიუ პატის ოფიციალურად ჩვენება ჩამოართვან, რადგანაც მერსიე ამბობს, რომ საბუთის ქაღალდი იმან მოიტანა და კონვერტში ჩასდო მერსიემ გაუსწორა და სთქვა დიუ პატიმ კონვერტი მოიტანა, ხოლო სანდგერმა დაბეჭდაო- (მოძრაობაა) ინცინდენტი დისრულდა. ფრეიშტეტტერის ჩვენებს დიდი გავლენა ჰქონდა. ხატვის მასწავლებელმა ფერაფაგარმა (?) დაარღვია ბერტილიონის სისტემა. კრება ორშაბათამდის გადაიდო.

**პარიზი.** Naf. Ag. მთავარი ბრალდებული გერენის წინაღმდეგ სახიფარს აღძრავს—კაცის მოკვლა განიზრახა გუშინ რ ევორველი რომ გაისროლა. ტყვები პირდაპირ სახლში იპოვნეს.

გამომძიებელმა დღეს ჩვენება ჩამოართვა სებასტიან ფორს, ფორი ამბობს, ჩხუბსა და უწესოებაში მონაწილეობა არ მიმიღიაო.

**მადრიდი.** „ჰავასის საგ,“ იუწყებიან, რომ ოპორტოს მახლობლად ორი კაცი გახდა ავად შავის ჭირითაო.

**ოპორტო.** „ჰავასის სააგენტო“. შავის ჭირის გაჩენიდგან სულ ავად გახდა 51 კაცი. გარდაიცვალა ამათგან 18 კაცი. დღეს არავინ გამხდარა ავად.

**კიევი.** პურის ვაჭრობა კარგად მიდის გამყიდველნი ფასს არ უკლებენ. ვოლინის გუბერნიაში დიდალს სიმიდს ჰყიდულობენ. კიევ-ვორონეჟის რკინის გზის სადგურებზედ ხორბალი იყიდება 78—85, კიევში—88—90

**კოპენჰაგენი.** მეფემ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა ლიუდვიგ ბრანსენი.

**პარიზი.** დილის $6\frac{1}{2}$ საათზედ ერთმა კაცმა მოახერხა შაბროლის ქუჩაზედ შეპარვა. მაგრამ რესპუბლიკის გვარდიამ დააპატიმრა; ამ კაცს გატენილი რევოლვერი უპოვნეს.

„საერო სააგენტოს“ მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდგან სჩანს, რომ იმ 14 კაცს შორის, რომელნიც გერენთან ერთად არიან შეკეტილნი, ოთხი ავად არის. ყველას გარდაწყვეტილი აქვთ არ დაჰმორჩილდნენ, თუმცა ანტისემიტთა ლიგამ მოწოდებით მიჰმართა საფრანგეთის მოქალაქეთ ქალთა და კაცთ, რომ შეიბრალეთ შაბროლის ქუჩაზედ შეკეტილნი, რადგან შიმშილით იხოცებიანო, მაინც დღეს შაბროლის ქუჩაზედ ცნობის მოყვარენი ცოტანი იყვნენ.

საბრალმდებლო ნაწილმა დაადგინა. სამართლით დევნა დაუწყოს გაზეთებს; „Intrasigeant“-ს, Soir“-ს. „Patrie“-ს, „Iourualbu peuple“-ს, რადგან მოქალაქეთ აქეზებდნენ შეკრებილიყვნენ ერთად და თავი მოეყარათ. გარდაწყვეტილია აგრეთვე, რომ სამართლით დაუწყონ დევნა გზა, „Eeclair„-ს, ვომელმაც სიყალბე ჩაიდინა და გამოაქვეყანა ის საბუთის ქაღალდი, სადაც ნათქვამია: „ეს გაიძვერა დ “ კანონიერი ვადა ამ საქმის აღსაძვრელად 15 სექტემბერს თავდება.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი

**ა. ს. პუშკინისა**

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяца

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—73)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ**

**НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ**

**для самообразованія**

ѴІІІ-й г. изд. **МІРЪ БОЖІЙ** ѴІІІ-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ, листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вербицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія**. «Антропологическіе очерки» проф. Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Бигнера; «Чарльзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть Ш. П. Милюкоа. «Александръ 1 и его время»,А. Прѣснякова: «А. С. Пушкинъ (юбилейная статья). Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова; «Ада Негри», В.я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настояшее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Релцгія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизерина; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

## УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб. о всѣ
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . . , . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р.
За границу . . . 5 р
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой в города Россіи;
въ январѣ . , . 3 р
» маѣ . . . . 3 р.
» сентябрѣ . . . 2 р.
За границу: въ январѣ . 4 .
» » » маѣ . . 3 »
» » » сентябрѣ . 3 »

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны.

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорскій*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Августа 1899 г. ხრ. ... ) გ. ... რედაქტორ-გამომცემელი ...